



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 27 იანვრის №1062
 დადგენილებით
მოდირიგებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2019 წლის 20 დეკემბრის
 №01-05-04/404
 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მეცხოველეობა
Animal Science

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემის ინჟინერინგი
Faculty of Agricultural Science and Biosystems Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ვასილ ლლიღვაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი Doctor of Agricultural Sciences მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში
--

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაუტარდება გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური ენის ცოდნის - B2 დონის დამადასტურებელი

სერტიფიკატი. ზემოხსენებული სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდას ჩააბარებს სტუ-ს ენების ცენტრში, ინგლისურ ენაში (B2 დონე). აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვს უცხოურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები იქნება გამჭვირვალე. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის

http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764 მეშვეობით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს (ECTS). სასწავლო კომპონენტისათვის განსაზღვრული 60 კრედიტი – 35 კრედიტი სასწავლო კურსები, 25 კრედიტი – 2 თემატური სემინარი, ხოლო კვლევითი კომპონენტისთვის - 120 კრედიტი, კოლოკვიუმი 1 და კოლოკვიუმი 2 – 60 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა.

სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

პირველ წელს დოქტორანტი გადის 5 სასწავლო კურსს. 5 სასწავლო კურსიდან 3 წარმოადგენს სპეციალობის და შეადგენს 25 კრედიტს. ამავე წელს დოქტორანტი ამზადებს ორ თემატურ სემინარს - სულ - 25 კრედიტი. პირველი თემატური სემინარი - 10 კრედიტი, ხოლო მეორე - 15 კრედიტი. სულ ჯამში სტუდენტის პირველი წელის დატვირთვა განისაზღვრება 60 კრედიტით.

მეორე წელს (მესამე და მეოთხე სემესტრში) გათვალისწინებულია ორი კოლოკვიუმის მომზადება. (კოლოკვიუმი - 1 – 30 კრედიტი, კოლოკვიუმი - 2 – 30 კრედიტი).

ჯამში - 60 კრედიტი.

მესამე წლის გათვალისწინებულია სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 60 კრედიტი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესები: http://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2019.pdf

პროგრამის მიზანი

მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის მიზანია მეცხოველეობის დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევარების მომზადება.

კურსდამთავრებულები ხელს შეუწყობენ მეცხოველეობის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას და ყველა იმ რესურსის გამოყენებას, რომელიც განავითარებს აღნიშნულ დარგს, წარმოების ეფექტური წარმართვის სრულყოფას, აგრარული სფეროს დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

სრულყოფენ ტრადიციულ მიდგომებს, ახლებური ხედვით ცხოველთა და ფრინველთა მოშენებას, ახალი საკვები საშუალების შექმნას და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონების და სასოფლო ტერიტორიების (სოფლის) მდგრად განვითარებას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

- განსაზღვრავს არსებული ცოდნის საფუძველზე ცხოველთა შეფასებას, გადარჩევას კონსტიტუციის და ექსტერიერის მიხედვით, მომშენებლობაში ინოვაციური მეთოდების გამოყენებას;
- ანალიზებს სანაშენე მუშაობის უახლეს მიღწევებს ჯოგის აღწარმოების საქმეში, სხვადასხვა მიმართულების მეცხოველეობის საწარმოებისათვის;
- იაზრებს საკვების, მისი ცალკეული ინგრედიენტების ენერგეტიკულ პოტენციალს და გავლენას პროდუქციის შექმნის პროცესზე, ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების პერსპექტივებს;
- იცნობს თეორიული კვლევისა და ექსპერიმენტის ჩატარების ინოვაციურ მეთოდოლოგიას და თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის დამუშავების ძირითად პრინციპებს;
- გეგმავს არსებული ცოდნის გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების საფუძველზე საკუთარი პოზიციის ფორმულირებას, საჯარო გამოსვლას, "საპროექტო წინადადების", სამეცნიერო შრომის წარდგენას და განხილვას თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით;
- დამოუკიდებლად გეგმავს ცხოველთა და ფრინველთა წარმოშობისა და შთამომავლობის ხარისხის მიხედვით შეფასების ინოვაციური კვლევის გამოყენებას, განხორციელებას და ზედამხედველობას;
- ანალიზებს სპეციალური ლიტერატურისა და კვლევის საფუძველზე მოპოვებულ მასალას, შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს;
- მონაწილეობს დისკუსიაში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პრინციპებისა და წესების დაცვით;
- აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებას, იღრმავებს ცოდნის დონეს;
- პრაქტიკული საქმიანობისა და პროფესიული კომუნიკაციების საშუალებით თავისი ინტერესების სფეროში ადგენს ახალ ღირებულებებს და ზრუნავს მათ განავითარებაზე;
- გეგმავს კრიტიკულ არაპროგნოზირებად სიტუაციებში მეცხოველეობის პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების დამკვიდრების გზებს და ინოვაციური მეთოდების შემუშავებას.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა კონსულტაცია
 კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

3. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის

არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

4. **ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

5. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

6. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

7. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

8. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

9. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

10. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

11. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

12. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დასაქმების სფერო

- მეცხოველეობის, მეფრინველეობის, ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამამუშავებელი კერძო ორგანიზაციები და წარმოებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 5

საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	სასწავლო კომპონენტი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი			
			I	II	III	IV	V	VI		
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები	არ გააჩნია	4							
2	სამეცნიერო კვლევის მეთოდები მეცხოველეობაში	არ გააჩნია		5						
3	სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი	არ გააჩნია	6							
4	ცხოველთა და ფრინველთა მომშენებლობა	არ გააჩნია	10							
5	ცხოველთა და ფრინველთა რაციონალური კვება	არ გააჩნია		10						
	თემატური სემინარი-1	არ გააჩნია	10							
	თემატური სემინარი-2	პირველი თემატური სემინარი		15						
კვლევითი კომპონენტები					30	30	30	30		
1.	კოლოკვიუმი-1				30					
2.	კოლოკვიუმი-2					30				
3.	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და								60	
სულ წელიწადში:			60		60		60		60	

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	სასწავლო კომპონენტი	ESTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	შუსაემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10112G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15			1	1	68
2	AGC19610G1-LS	სამეცნიერო კვლევის მეთოდები მეცხოველეობაში	5/125	15	30			1	1	78
3	EDU10213G1-LP	სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი	6/150	30	30			1	1	88
4	AGC19510G1-LP	ცხოველთა და ფრინველთა მომშენებლობა	10/250	30		45		1	1	173
5	AGC19710G1-LP	ცხოველთა და ფრინველთა რაციონალური კვება	10/250	30		45		1	1	173

პროგრამის ხელმძღვანელი

ვასილ ლიღვაშვილი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ლომიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2014 წლის 27 იანვრის №1062
დადგენილებით

მოდირიცირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
10 დეკემბერი 2019 წელი
ოქმი № 69

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა

სასწავლო კურსი	განსაზღვრავს არსებული ცოდნის საფუძველზე ცხოველთა შეფასებას, გადარჩევას კონსტიტუციის და ექსტერიერის მიხედვით, მომწეებლობაში ინოვაციური მეთოდების გამოყენებას	აანალიზებს სანაშენე მუშაობის უახლეს მიღწევებს ჯოგის აღწარმოების საქმეში, სხვადასხვა მიმართულების მეცხოველეობის საწარმოებისათვის	იაზრებს საკვების, მისი ცალკეული ინგრედიენტების ენერგეტიკულ პოტენციალს და გაგვიანს პროდუქციის შექმნის პროცესზე, ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების პერსპექტივებს	იცნობს თეორიული კვლევისა და ექსპერიმენტის ჩატარების ინოვაციურ მეთოდოლოგიას და თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის დამუშავების ძირითად პრინციპებს	გეგმავს არსებული ცოდნის გაზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების საფუძველზე საკუთარი პოზიციის ფორმულირებას, საჯარო გამოსვლას, "სპროუქტო წინადადების", სამეცნიერო შრომის წარდგენას და განხილვას თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით	დამოუკიდებლად გეგმავს ცხოველთა და ფრინველთა წარმოშობისა და შთამომავლობის ხარისხის მიხედვით შეფასების ინოვაციური კვლევის გამოყენებას, განხორციელებას და ზედამხედველობას	აანალიზებს სპეციალური ლიტერატურისა და კვლევის საფუძველზე მოზოგებულ მასალას, შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს	მონაწილეობს დისკუსიაში ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პრინციპებისა და წესების დაცვით	აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებას, იღრმავებს ცოდნის დონეს	პრაქტიკული საქმიანობისა და პროფესიული კომუნიკაციების საშუალებით თავისი ინტერესების სფეროში ადგენს ახალ ღირებულებებს და ზრუნავს მათ განავითარებაზე	გეგმავს კრიტიკულ არაპროფიზიონარულად სიტუაციებში მეცხოველეობის პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების დამკვიდრების გზებს და ინოვაციური მეთოდების შემუშავებას
მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის მიზანია მეცხოველეობის დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევარების მომზადება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
კურსდამთავრებულები ხელს შეუწყობენ მეცხოველეობის სფეროში არსებული	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

<p>პრობლემების გადაჭრას და ყველა იმ რესურსის გამოყენებას, რომელიც განავითარებს აღნიშნულ დარგს, წარმოების ეფექტური წარმართვის სრულყოფას, აგრარული სფეროს დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას</p>												
<p>სრულყოფენ ტრადიციულ მიდგომებს, ახლებური ხედვით ცხოველთა და ფრინველთა მოშენებას, ახალი საკვები საშუალების შექმნას და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონების და სასოფლო ტერიტორიების (სოფლის) მდგრად განვითარებას.</p>	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓